საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№ 1856 2019 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №26 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოზე არ გავრცელდეს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს

კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები და სააგენტოს მიეცეს თანხმობა, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არა უმეტეს 12 (თორმეტი) ერთეულით (მათ შორის, არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად – 6 (ექვსი) ერთეულით, ხოლო დამხმარე ამოცანების შესასრულებლად – 6 (ექვსი) ერთეულით);“.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**